07
ბ-135

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გაბუნია ლირა

მიხეილ ჯავახიშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა

10.01.10. ჟურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ტაბიძე ნოდარ
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ნიკოლეიშვილი ავთანდილ
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (10.01.01)
2. თავამაიშვილი მარიამ
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი (10.01.10)

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. М. Цховребова

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „22“ II „15⁰⁰“
საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.C№5)
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო
ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის „17“ II „“.

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. М. Цховребова

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /ნ. ტაბიძე/

- 1815 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მძლავრობდა ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. ა. ჯორჯაძემ ერთმანეთს შეუხამა მათი პროგრესული მხარეები – ეროვნული და სოციალური იდეები და საფუძველი ჩაუყარა სოციალ-ფედერალიზმს (თავდაპირველად ნაციონალიზმ-ფედერალიზმი) – ევროპული ტიპის დემოკრატიზმის სახეობას. ეს მოხდა 1904 წელს ჟენევის კონფერენციაზე. ა. ჯორჯაძის მიერ დაფუძნებული სოციალ-ფედერალისტური პარტია სწორედ ორ ფასეულობაზე იყო ორიენტირებული, რადგან მაშინდელი საქართველოსთვის ნაციონალიზმ-ფედერალიზმი განუხორციელებელ პოლიტიკურ რეალობად განიხილებოდა.

სოციალ-ფედერალისტთა ბანაკში აღმოჩნდნენ ქართული პოლიტიკური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები: კიტა აბაშიძე, გიორგი დეკანოზიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვები.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში წმინდა ჟურნალისტურ საქმიანობას დიდი ადგილი უკავია, დროში განფენილობის მიხედვით – მოღვაწეობის თითქმის ნახევარი – 1903 წლიდან დაწყებული საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე.

თანამედროვე საქართველოს წინაშე სახელმწიფოებრივი განახლების პერსპექტივაა. დროის მიერ წამოჭრილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პრობლემათა მოგვარება მხოლოდ წარსულისა და აწმყოს გათვალისწინება-შეჯერებით არის შესაძლებელი. ამ მხრივ მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტური გამოსვლები დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას.

კვლევის საგანი და მიზანი. ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს დიდი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ჟურნალისტური საქმიანობა და მისი მნიშვნელობა ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. მ. ჯავახიშვილის პატრიოტული კრედო ჟურნალისტური საქმიანობის მრავალსახეობით არის გამოხატული. ის გვევლინება როგორც რიგითი კორესპონდენტის, ლიტერატურული მუშაკის, ისე ახალ გამოცემათა დამფუძნებლისა და რედაქტორის როლში.

კვლევის პროცესში გაცხადდა, რომ მ. ჯავახიშვილს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ქართული პუბლიცისტური სიტყვის ქმედი-